წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელეკომპანია ,,თანამგზავრი"ს მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში ,,აქცეპტანტი")

თელავის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების ,,ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1,1 მომსახურება იწარმოება DVB-T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების

MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T (COFDM:8k, 64-QAM,

Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ. წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. თელავი ჭავჭავაძის #100

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათალისწინებულ მისამართამდე

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი(SD/HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 თელავის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ–ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 547(ხუთასორმოცდაშვიდი)ლარს,1 SD თვეში შეადგენს 1176 (ერთი ათას ას სამოცსათექვსმეტი) ლარს გადასახადების გარეშე, 1 HD თვეში შეადგენს 4375 (ოთხიათას სამას სამოცდათხუთმეტ) ლარს გადასახადების გარეშე.

3. ,,ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2019 წლის 29 მარტიდან და მოქმედებს ორი წლის მანძილზე– 2021 წლის 29 მარტამდე.

ტელეკომპანია ,თანამგზავრი" ს ენრი კობახიძე

დირექტორი